ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 3 სექტემბერი № 1571

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ივანე მაჭავარიანს სურს იყოლიოს ორი ან სამი უნცროსს კლასებში მოსწავლე გიმნაზიელი. კრასნოგორსკის ქ. № 31.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი 791.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 2 სექტემბერს, გაიხსნა **კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა**. გამოფენის მომწყობ კომიტეტისაგან მოწვეული იყო გახსნაზე დასასწრებლად 1400-ზედ მეტი საპატიო პირი. მოპატიჟებულთ დაიწყეს შეგროვება შუადღის 12 საათიდან. გამოფენის შენობები მორთული იყვნენ ბაირაღებითა და მცენარეულობით. 1-ლ საათის შესრულებისას გამოფენაზე მოვიდნენ: საქართველოს ექსარხოსი ფლავიანე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა გამგენი. გამოფენის ცენტრალურ პავილიონში, სახელდობრ აბრეშუმისა და ბამბის განყოფილებაში, საქართველოს ექსარხოსმა, ქალაქის სამღვდელოების თანამსახურებით, გადაიხადა სადღესასწაულო პარაკლისი, რომლის დასრულების შემდეგ შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა მღვდ. ვოსტორგოვმა. შემდეგ სიტყვა წ. რმოსთქვა გამოფენის კომისარმა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა. წაკითხულ იქმნა გენ.-ლეიტ. ბარანოვსკის დეპეშა, რომლითაც ის დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელით ულოცავდა კომიტეტს გამოფენის გახსნას. მილოცვის დეპეშები მოსულია გამოფენის კომიტეტს აგრეთვე: მიწად-მოქმედების მინისტრის ერმოლოვისაგან, მისი ამხანაგის სტევენისაგან, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კოვალევსკისაგან და სხვათაგან. დეპეშების წაკითხვის შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი გამოვიდა პავილიონიდან გამოფენის მოედანზე და ხმა მაღლა წარმოსთქვა: „ვაცხადებ, რომ კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო საიუბილეო გამოფენა გახსნილია“-ო, რასაც დამსწრენი „ვაშას“ და „ურას“ ძახილით მიეგებნენ. ამ დროს მოედანზე მდგომმა მომღერალთა ხორომ შეასრულა რუსეთის საეროვნო ჰიმნი. გალობის გათავების შემდეგ თავ. გოლიცინმა, ექსარხოსმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა დაათვალიერეს გამოფენის განყოფილებანი და შემდეგ მიწვეულ იქმნენ იქვე, საგანგებოთ მოწყობილ ოთახში საუზმეზე. საუზმის გათავების შემდეგ თავ. გოლიცინი, მისი თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ექსარხოსი ფლავიანე და სხვა საპატიო პირნი გამოფენიდან წავიდნენ. დანარჩენი მიპატიჟებულნი 3 საათამდის ათვალიერებდნენ გამოფენას. ამ დროიდან კი გამოფენა გაიხსნა ხალხისათვისაც.

✦ გამოფენის გახსნის შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შემდეგი **დეპეშა** გაუგზავნა მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს.

„კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა, რომელიც იმყოფება თქვენის იმპერატორებითი უმაღლესობის უავგუსტოეს მფარველობის ქვეშ, დღეს ჩემ მიერ გახსნილ იქმნა. გამოფენა წარმოადგენს სურათს ადგილობრივის წარმოებისას, რომლის მრავალ დარგის განვითარებას ხელი შეუწყო თქვენმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ, როდესაც კავკასიის მმართველად ბრძანდებოდით“.

✦ საერო განათლების სამინისტროს შესამჩნევად გაუდიდებია **ხელსაქმის კურსი** საშუალო საქალებო სასწავლებლებში. ამ დღეებში სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს უკვე გაეგზავნათ ამის შესახებ ცირკულიარები. მინისტრი წინადადებას აძლევს მზრუნველებს თვალყური ადევნონ, რათა ხელ საქმის მასწავლებელთ ჰქონდეთ მიღებული უთუოდ სპეციალური პროფესიონალური განათლება.

✦ გუშინ-წინ, საღამოს მეათე საათზე, **ცეცხლი** გაუჩნდა ბოზარჯიანცის სათუთუნე ფაბრიკას, რომელიც იმყოფება გუდოვიჩის ქუჩაზე. ცეცხლი მსწრაფლ მოედო სამაშინო განყოფილებას და შემდეგ თვით ფაბრიკის შენობას. ცეცხლი 12 საათზე ძალიან გაძლიერდა და გადავიდა მეზობელ შენობაზე—ქართველიშვილის სახლზე. ცეცხლის მქრობელი რაზმი დროზე მოვიდა და ენერგიულად შეებრძოლა გაძლიერებულს სტიქიონს. დილის მესამე საათზე ცეცხლი ჩააქრეს და ყველა მახლობელი სახლები, რომლებიც უმეტეს ნაწილად ღარიბ მცხოვრებთ ეკუთვნის, გადაარჩინეს. ბოზარჯიანცს დაეწვა სამაშინო განყოფილება და ფაბრიკის შენობის ნაწილი; თუთუნის საწყობი-კი გადურჩა ცეცხლს. შენობა და საქონელი 100 ათას მანათში ჰქონია პატრონს დაზღვეული მოსკოვის დამზღვევ საზოგადოებაში.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ **ქალებისა და და გაჟების საკვირაო სკოლების** მოსაწყობად იქნება კრება პარასკევს, 7 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სამკითხველოში, რომელიც იმყოფება სათავადაზნაურო შენობაში. მსურველთ შეუძლიანთ დაესწრონ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

1 სექტემბერი

დანციგი. ფლოტის ალლუმს დღესაც განაგრძეს. ქალ. დანციგი მშვენივრად მორთეს.

დანციგი. 31 აგვისტოს, 6 ს. 30 წ. ბინდის დროს იმპერატორი ვილჰელმი გემი „ჰოგენცოლერნ“-ით ნეიფარვასსერთან მოვიდა; ნავთსადგური სადღესასწაულოდაა მორთული. შეკრებილი ხალხი „ურას“ ყვიროდა. ზღვის ნაპირას მდგარმა ბატარეებმა სალამის ნიშნად ზარბაზნები დასცალეს. რუსეთის იმპერატორი გემით ნაშუადღევის 4 საათზე წავიდა აქედან.

გელა. იმპერატორების დასწრებით რომ ფლოტის ალლუმი მოახდინეს, მშვენივრად ჩაიარა. ორივე იმპერატორი ალლუმის შემდეგ გემ „ვარიაგზე“ წავიდნენ. ამის შემდეგ იმპერატორი ვილჰელმი რუსის მეზღვაურის მუნდირით, დილის $10^{1}/_{2}$ საათზე თავის გემზე წავიდა, სადაც მერე რუსეთის იმპერატორიც მოვიდა. ფლოტმა მაშინვე ალლუმი მოახდინა. გემები მშვენივრად მიდიოდნენ და მშვენიერ სანახავს წარმოადგენდნენ. პირველ საათზე ბრძოლა შეწყვიტეს. 2 საათზე ფლოტი გელასთან გაჩერდა.

შანჰაი. შარშან ზაფხულს ჩჟუ-ჩჟოუში რომ ჩინელებმა ხალხი დახოცეს, ამის თაობაზე ოთხი მაღალ წარჩინებული მანდარინი თავიანთ ადგილებიდან გადააყენეს, გამოჩენილ მოქალაქეებს უფლება და უპირატესობა ჩამოართვეს; 14 მკვლელი სიკვდილით დასაჯეს; 9 თანამოზიარე სამუდამოდ დაკარგეს და 7 ციხეში დაამატიმრეს ხუთის წლის ვადით.

იოკაჰამა. ბოდიშის მოსახდელად მოსული ჩინეთის ელჩი ნატუნი დღეს იმპერატორმა მიიღო. ელჩმა წაიკითხა ქაღალდი, სადაც ეწერა თუ რა საქმისათვის მოსულა იაპონიაში, და შემდეგ იმპერატორს წერილი გადასცა. ამ წერილში სინანულია გამოთქმული იმის თაობაზე, რომ შარშან პეკინში იაპონიის ელჩის მდივანი მოჰკლესო და მადლობაა გადახდილი იმაზე, რომ იაპონიამ ხელი შეუწყო მშვიდობიანობის აღდგენასაო. იმპერატორმა შეიწყნარა სინანულის გამოცხადება და იმედი გამოსთქვა, რომ ჩინეთი ამას იქით მშვიდობიანობას არ დაარღვევსო.

პეკინი. რუსეთის ახალი ელჩი ლესარი მოვიდა აქა.

ბუხარესტი. სასანიტარო საბჭომ დაადგინა, რომ კონსტანტინეპოლიდან მოსული საქონელი ამას იქით აღარ იხარჯებოდეს.

ბრიუსელი. თუმცა ინგლისური გაზეთები წინააღმდეგს იუწყებოდნენ, მაინც მოლაპარაკებას იმის თაობაზე, რომ შაქრის ვაჭრობის თაობაზე კონფერენცია მოიწვიონ, დღესაც განაგრძობენ. ეს მოლაპარაკება კარგად მიდის. მეტადრე საფრანგეთი გულ-წრფელადაა მონდომებული, რომ კონფერენცია რაც შეიძლება მალე მოხდეს.

ბუფალო. ნაშუადღევის 1 ს. მაკ-კინლეი ველარ იღებს საჭმელს, როცა ხელოვნურად აჭმევენ. მოსალოდნელია, რომ მთლად ღონე გამოელიოს. ექიმები იმ აზრისანი არიან, რომ თუ მაკ-კინლეიმ ღამეც გასძლო, კიდევ იმედი გვექნება, რომ მორჩესო. ექიმებს ჯერ კარგად არა აქვთ გამოკვლეული, თუ გულის მოქმედება რად შეეცვალა პრეზიდენტს. ამის მიზეზების გაგება შეუძლებელია.

ბუფალო. ნაშუადღევს 2 ს. 30 წ. პრეზიდენტის ჯან-მრთელობის შესახებ შემდეგი ბიულეტენი გამოცხადდა; „დღევანდელ დილას აქეთ პრეზიდენტი უფრო მხნედაა. იმედია, ამას იქით უკეთ შეიქნეს. ეხლა უფრო კარგადა გრძნობს თავსა, ვიდრე გუშინ ამ დროს. მაჯა 126, ტემპერატურა 99,4“.

ბუფალო. საღამოს 5 საათზე. მაკ-კინლეი უკანასკნელ დღეშია.

ბუფალო. ნაშუადღევს მაკ-კინლეის ექიმებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ამაღამ გადაწყდება პრეზიდენტის ბედიო. კიდე იმედი გვაქვს ავადმყოფი სიკვდილს გადავარჩინოთო.

ბუფალო. ნაშუადღევს 5 ს. 48 წ. მაკ-კინლეის სახლობა მოიწვიეს. მორჩენის იმედი სრულებით აღარაა.

ბუფალო. მაკ-კინლეის მდივანმა 5 ს. 35 წ. შემდეგი გამოაცხადა: „ექიმების აზრით პრეზიდენტი ძალიან ცუდათაა. პრეზიდენტს ღონე სულ გამოელია; მჟავბადი ჩაასუნთქეს, მაგრამ ვერა უშველა-რა. მაჯა 125, სუნტქვა 40“. *)

პეტერბურგი. გამოცხადდა ბრძანება იმის შესახებ, რომ სამხედრო უწყებამ პეტერბურგ-ვარშავის გზაზე ჟანდარმებისა და პოლიციის მმართველობა დააწესოს.

ხელმწიფე იმპერატორმა 31 აგვისტოს, გერმანიის იმპერატორთან გემ «ჰოჰენცოლერნ»-ზე საუზმე მიირთვა და გემი «შტანდარტ“-ით კილში წავიდა.

საერო განათლების მინისტრი პეტერბურგში დაბრუნდა და თავისი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

სარატოვი. საერობო საგუბერნიო კრებამ, რომელიც 2 დღეს მუშაობდა, მიიღო სხვა და სხვა ზომები შიმშილობის წინააღმდეგ სარატოვის გუბერნიაში. გადაწყვიტა: გზების გაკეთება ვოლსკისა, ხვალინსკისა და სარატოვის მაზრებში, რათა 300,000 მანათის სამუშაო გაუჩინოს ხალხსა; გამართოს 200,000 მანათის ღირებულობის პატარა სამუშავოები; გადასდვას 340 ათასი მანეთი საქონლის გამოსაკვებად; შეეწიოს 50,000 მანათით შინაურ მრეწველთ და იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს ერობას სესხად 200,000 მანეთი სამუშაოების მოსაწყობად და საქონლის გამოსაკვებად; აგრეთვე დაადგინა იშუამდგომლოს, რომ დამშეულთ ნება მიეცეს ასაზრდოვონ თავიანთი საქონელი სახაზინო ტყეებში და რომ დახურულ იქმნან არაყის სახაზინო დუქნები დამშეულ ადგილებში.

გელა. იმპერატორმა ნიკოლოოზ მე-II გერმანიის იმპერატორი დანიშნა რუსეთის ლაშქრის საუკეთესო პოლკის, სახელდობრ მე-39 ნარვის დრაგუნის პოლკის შეფად. ამ პოლკის შეფად წინად იყო გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე. იმპერატორმა ვილჰელმმა უბოძა რუსეთის იმპერატორს მუნდირი გვარდიის დრაგუნის ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის პოლკისა.

ბუფალო. 8 საათი 35 წ. მრავალი ხალხი მოგროვდა ქუჩებში პოლიციის იმ ნაწილთან, სადაც ჩოლგოსია დაპატიმრებული და სადაც მისვლა აღკრძალულია. პოლიციის ძლიერი რაზმი იცავს სახლს და ორი პოლკიც მზად არის, თუ ვინიცობაა ხალხი იერიშს მიიტანს პოლიციის სადგურზე.

ბუფალო. 9 საათი და 27 წ., როგორცა სჩანს, გრძნობა სრულიად დაეკარგა მაკ-კინლეის; როდესაც გონს მოდიოდა, ამშვიდებდა თავის მეუღლეს. 9 ს. 35 წ. ექიმმა მაინფერმა გამოაცხადა, რომ მაკ-კინლეი ფითრდება და ტანი უცივდება, მაგრამ ორ საათამდე კიდევ იცოცხლებსო; მაჯა ძლივსღა უცემს.

ბუფალო. 9 ს. 35 წ. მჟავბადით წამლობა დროებით შეაჩერეს. მაკ-კინლეიმ,

---

*) ეს დეპეშები დაგვიანებულია.

მანამ გრძნობას უაჰკარგავდა, უთხრა თავის ცოლს: „მშვიდობით“. შემდეგ ისმოდა დაბალის ხმით ლაპარაკი. ახლო მდგომთ გაუგიათ: „ღმერთო ჩემო! შენ...“ ამის ცოტა ხნის წინად მაკ-კინლეიმ სთხოვა ექიმს თავი დაენებებინა.

ბუფალო. 6 ს. 30 წ. გამოაცხადეს, მჟავბადი ველარ მოქმედებს მაკ-კინლეიზე. $7^{1}/_{2}$ ს. პრეზიდენტს გამოეთხოვნენ მისი ნათესავები, კაბინეტისა და პალატის წევრები და აგრეთვე პრეზიდენტის მეგობრები. 7 ს. 26 წ. პრეზიდენტმა დაჰკარგა გრძნობა და ამ მდგომარეობაში ცოტა რამ ცვლილებით დაჰყო 7 ს. 50 წუთამდე. შემდეგ პრეზიდენტი სხვა და სხვა მომსულიერებელ საშუალებით გონს მოვიდა და სთხოვა მისი ცოლი მიეშვათ, რომელიც მაშინვე მივიდა.

ბუფალო. 10 ს. 59 წ. მაკ-კინლეის გვამი დიდი ხანია ცივა. ორ საათზე მეტია, რაც პრეზიდენტი უგრძნობლად წევს. 11 ს. 7 წ. ბერნიემ გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი კიდევ რამდენიმე საათს იცოცხლებს, თუმცა თითქმის აღარ სუნთქავს.

ბუფალო. პრეზედენტი მაკ-კინლეი გარდაიცვალა დილი 2 საათზე.

რეიმსი. ქალაქის მორთვას შეუდგნენ. საქალაქო სახლი და რამდენიმე ეკკლესია უკვე მორთეს ბაირაღებით, მცხოვრებნი ჰშველიან ქალაქის მორთვას. სავაჭრო პალატა მშვენიერ სადგურს ამზადებს მწერლებისათვის. დედოფალს ტაძარში მიეგებება კარდინალი სამღვდელოებით, ზარის რეკით და რუსული ჰიმნით, რომელსაც დაუკრავე̃ ორგანზე; ტაძარი შიგნიდან რუსის ბაირაღებით იქნება მორთული.

პარიზი. რუსეთის იმპერატორის და დედოფლის მოსვლისა გამო, უაზის დეპარტამენტის კომიტეტმა მიჰმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს შემდეგის პატრიოტულის ადრესით: „უაზის დეპარტამენტის მიერ არჩეულნი გიცხადებენ პატივის-ცემითი გრძნობას და გილოცვენ, რომ თქვენ ითავეთ და განახორციელეთ საფრანგეთის დიადი მოკავშირის მოწვევა. მობრძანება მათი ახალ სხივსა ჰფენს კავშირს, რომელიც ისე კარგად ეთანხმება ორივე ხალხთა ინტერესებს. ამას შეუძლიან განამტკიცოს კავშირი ორ ხალხთა შორის ურთიერთის სასარგებლოდ და მშვიდობიანობის დასაცველად“.

კაპშტადტი. კაპის კოლონიაში საქმეები ძალიან ჴცუდად არის. მთელი ოლქები უერთდებიან მტერს. დღეს მიიღეს ცნობები, რომ მთელი ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი, ე. ი. ფრეზენბურგისა, ვაილისტონისა, სუტერლანდისა, კარნარვონისა, ვანშპოდორპსკისა და კლანვილიამის ოლქების ნაწილები,—აჯანყებულა.

ბუფალო. პრეზიდენტი გარდაიცვალა ღამის 2 ს. 15 წ. საღამოს 7 ს. 50 წ.-დამვე გრძნობა დაჰკარგა. მღვდელი არ იყო მასთან. პრეზიდენტის უკანასკნელი სიტყვები იყო: „მშვიდობით! ეს ღვთის განგებაა, აღსრულდეს ნება მისი“. ეს სიტყვები ჩასწერა მკურნალმა მანნმა. ქალ. მაკ-კინლეიმ თავის მეუღლე უკანასკნელად ნახა ღამის 11—12 საათზე; ცოლი იჯდა მომაკვდავთან და ეჭირა იმისი ხელი. ოთახში თითო თითოდ შედიოდნენ კაბინეტის წევრნი. სიკვდილის დროს იქ დაესწრნენ კერძო მდივანი კორტლაიონი, ექიმი რაირი, ქალბ. ბერბერი თავის ქალითურთ და ქალ. დენკენი. რადგანაც ვერ გამოირკვა პირდაპირი მიზეზი სიკვდილისა, გვამის გაჰრა საჭიროა. ცხედარს ვაშინგტონში წაასვენებენ და იქ დაასაფლავებენ სახელმწიფო ხარჯით. ვიცე პრეზიდენტი რუველტი ფიცს იქ მიიღებს, სადაც გაიგებს პრეზიდენტის გარდაცვლას. მინისტრები მაშინვე დაეთხოვებიან თავიანთ თანამდებობას, რომ საშუალება მისცენ რუველტს, თუ ჰსურს, ახალი კაბინეტი შეადგინოს.

ბუფალო. შუაღამის შემდეგ, გავრცელდა რა ხმა პრეზიდენტის გარდაცვალებისა, მრავალი აღელვებული ხალხი გაემართა სატუსაღოსაკენ, სადაც დაპატიმრებულია ჩოლგოსი, მაგრამ პოლიციელებმა განდევნეს.

კაპშტადტი კაპის პარლამენტის გახსნა გადიდვა შვიდ ნოემბრამდე.

დანციგი. იმპერატორმა ვილჰელმმა შემდეგი დეპეშები გაჰგზავნა ბუფალოში: გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარს: „ღრმად შეწუხებული მაკ-კინლეის გარდაცვალების ამბით, ვიჩქარი გამოვუცხადო უგულითადესი თანაგრძნობა გერმანელის ერისა ამერიკის დიდებულ ერს. გერმანია ამერიკასთან ერთად სტირის კეთილშობილ ადამიანის დაკარგვის გამო, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა თავის ქვეყანასა და ხალხს. ვილჰელმი“. დეპეშა ქ-ნ მაკ-კინლეის: „დედოფალი და მე უგულწრფელესად თანაგიგრძნობთ თქვენს მწუხარებაში და თქვენთან ერთად ვგლოვობთ დაკარგვას თქვენის დაუვიწყარის მეუღლისას, რომელიც მოჰკლა საზიზღარმა ბოროტ-მოქმედმა უფალი, რომელმაც გარგუნათ თქვენ ბედნიერება დღემდის, მოგანიჭებსთ ძალას გადიტანოთ ეს მძიმე მწუხარება. ვილჰელმი“.

დანციგი. იმპერატორი მოვიდა აქ 10 საათზე; ხალხი ალტაცებით მიეგება.

სახალინი. პეტერბურგიდან მოვიდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა სამხედრო გუბერნატორი ლიაპუნოვი.— თათრის სრუტეში გაყვანილი ტელეგრაფი, რომელიც აერთებს სახალინის კუნძულსა და ციმბირს, გაფუჭებულია 11 ივლისიდან.

ჰელსინგფორსი. „ფინლიანდიის გაზეთში“ დაბეჭდილია: „ხელმწიფე იმპერატორმა 15 აგვისტოს კეთილ ინება და აღნიშნა დროებითი წეს-რიგი იმის შესახებ, რომ ფინლიანდიის საგუბერნიო სამმართველოებში საქმის წარმოების დროს რუსული ენა იხმარებოდეს. გუბერნატორებს ნება ეძლევათ იხმარონ რუსული ენა სხვა დაწესებულებებთან მიწერ-მოწერის დროსაც. გასაგზავნი ქაღალდები შეიძლება დაიწეროს რუსულსა და ადგილობრივ ენებზედ“. ეს განკარგულება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბიულანდის საგუბერნიო მმართველობამ უარი განაცხადა და არ გაჰგზავნა სადაც ჯერ იყო გუბერნატორის კაგოროდოვის მიერ რუსულად დაწერილი ქაღალდები.

პარიზი. „ჟურნალ დე-დება“ სწერს შემდეგს დანციგში იმპერატორების შეხვედრის შესახებ: „რუსეთის იმპერატორი სიამოვნებით მიეგება ვილჰელმის დაპატიჟებას; ყოველთვის, როდესაც ქვეყანას გაახსენებდნენ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის არსებობას, სცდილობდნენ აღენიშნათ აგრეთვე, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობა არ გამოცვლილა; საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით საფრანგეთისათვის სასარგებლო არ იქმნებოდა, რომ ორთა სახელმწიფოთა კავშირს გამოეწვია მტრული განწყობილება რუსეთსა და გერმანიას შორის. ყოველს შემთხვევაში, ცუდი არ იქმნება, თუ რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების ურთიერთობა გააუმჯობესებს სამთა სახელმწიფოთა ერთმანერთში განწყობილებას“.

პეტერბურგი. დღეს მოხდა მეშვიდე ტირაჟი მეორე შინაგან მომგებიან სესხისა. გაბათილებულ იქმნენ შემდეგი ნომრები: 14036, 16003, 11403, 13469, 14850, 147, 18338, 8971, 12718, 15627, 3676, 1356, 1482, 17200, 10748, 13803, 14633, 29107, 14916, 6171, 834, 18715, 18412, 16816, 16877, 17055, 9620, 14944, 19071, 11163, 1049, 4031, 14377, 17208, 11271, 17792, 10329, 1631, 3961, 2810, 7366, 19196, 7991, 18505, 17720, 17506, 12371, 14073, 19534, 7614, 13807, 14518, 15391, 10547, 18898, 17834, 18234, 14647, 1205, 2912, 11310, 7208, 14008. 7700, 15375, 19552, 4285, 3500, 3396, 4129, 7861, 9223, 11503, 9660, 7349, 4862, 19618, 8410, 9851, 2570, 9305, 16088, 17467, 7095, 16907, 1178, 19520, 14854. 18742, 4534, 7169, 15601, 923. 78, 2926, 1782, 16888, 7412, 19220, 14, 2400, 16174, 12204, 19884, 8219, 2612, 2001, 12619, 17213, 11959, 7099, 3517, 9908, 4371, 36, 3151, 15059, 9175, 17340, 9762, 4443, 18405, 12381, 7008, 14461, 1611, 6025, 9188, 2850, 4882, 4798, 13578, 10240, 4756, 11652, 15147, 11558, 15642, 1136 47 15858, 4671, 1755, 12254, 10086, 7800, 10846, 7919, 1116, 1812, 16258, 2824, 7222, 8290, 17230, 13926, 9257, 16490, 3116, 17955, 16848, 7324, 980, 6591, 6935, 15096, 19448, 17070, 7070, 3081, 12550, 28, 16584, 224, 17454, 17794, 8772, 140, 13082, 3788, 10494, 7815, 9741, 5, 11116, 2827, 11327, 12747, 6719, 4453, 13278, 15424, 10798, 17629, 3738, 6573, 90, 18887, 16389, 19890, 1197, 71, 5091, 15675, 8856, 370, 12164, 8630, 5325, 13715, 15701, 6153, 19789, 3571, 9288,, 9828 14570, 15391, 12436, 13428, 13731, 19844, 9839, 3840, 7119, 2385, 17314, 784, 8875 და 16259.

2 სექტემბერი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნ.>-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა კილიდან: „კოპენჰაგენში გრაფი ლამზდორფი დიდი ბრიტანიის მეფესთან იყო. დანციგის ნავთსადგურში გრაფი ლამზდორფი ინახულა გერმანიის იმერატორმა და უბოძა თავისი პორტრეთი. ამას გარდა, გრაფ ლამზდორფს და საიმპერატორო კანცლერს ფონ ბიულოვს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდათ.

დანციგი. პრინც ჰენრიხს ადმირალობა ებოძა.

კონსტანტინეპოლი. დღეს გამოცხადდა სულთანის ირადე, რომლით დამტკიცებულია ტუბინთან შეთანხმება. ტუბინს მიეცემა 1500 გირვანქით ნაკლები, ვიდრე ნახსენები იყო.

კილი. რუსეთის იმპერატორი მოვიდა გემით „შტანდარტ“-ით მესამე საათის ნახევარზე; „შტანდარტ“ ს უკან მოჰყვებოდნენ „სვეტლანა“ და „ვარიაგი“. იმპერატორს ზარბაზნების სროლით მიეგებნენ.

ბუფალო. მაკ-კინლეის გვამს ორშაბათს გადაასვენებენ ვაშინგტონში. დასაფლავება ხუთშაბათს მოხდება. მიცვალებული გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტი გადაცვლილა ჭრილობის ანთებისაგან. ტყვია ვერ იპოვნეს.

ბუფალო. 11 საათისა და 40 წ. მოვიდა ვიცე პრეზიდენტი რუველტი. პირველად ინახულა თავისი მეგობარი ვილკოკსი და შემდეგ საპატიო რაზმის თანხლებით, მივიდა იქ, სადაც ასვენია მაკ-კინლეი. აქედან დაბრუნდა ვილკოკსის სახლში, სადაც სათანადო ფიცი მიიღო.

ბლუმფონტენი აფრიკანდერთა მღვდლები მურეი და ბოტა დაბრუნდნენ დღეს ბურების ბანაკიდან, სადაც გაგზავნილნი იყვნენ რათა შტეინი და დევეტი დაეთანხმებინათ შერიგებაზე. შტეინმა და დევეტმა უარი სთქვეს.

რეველი. მოვიდა სამხედრო მინისტრი. ხალხი ალტაცებით მიესალმა უცხოელ ოფიცრებს, რომელნიც აღლუმზე დასასწრებლად მოვიდნენ. ისმოდა: „გაუმარჯოს მხედრობას, გაუმარჯოს რუსეთს!“ ბრიუქერმა სადილზე მიიწვია ოფიცრები; სადილის დროს მუსიკა არ უკრავდა მაკ-კინლეის გარდაცვალების გამო.

ნოვო-როსისკი, 1 სექტემბერს, საღამოს, აქ მოვიდა მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი. 2 სექტემბერს მინისტრი სოჭში მიდის.

დანციგი. ობერ ბურგომისტრის საპასუხოდ იმპერატორმა სთქვა: „ეს არის დავბრუნდი იქიდან, სადაც შევხვდი ჩემს მეგობარს რუსეთის იმპერატორს; ამ შეხვედრამ ჩვენ ორივე დაგვაკმაყოფილა და გაგვიმტკიცა სასოება, რომ ევროპაში მშვიდობიანობა დიდხანს უზრუნველ-ყოფილი იქმნება. ეს გარემოება ჩემს გულს ახარებს.“ იმპერატორმა აღუთქვა მოქალაქეთ, რომ ჩვეულებრივად ყურადღებით მოეპყრობა მათს საჭიროებას და დაუმატა: „თქვენ კარგა ხანია მიცნობთ და იცით, რასაც განვიზრახავ, აღვასრულებ კიდეც“. იმპერატორმა უსურვა დაცინგს კეთილ დღეობა.

ნიუ-იორკი. მგლოვიარობის ნიშნად ბირჟები დაიკეტა.

პრეზიდენტი რუველტი საგანგებო მატარებლით მიდის ბუფალოში. მატარებელი ერთის წუთის განმავლობაში ერთ მილს გარბის.

ანარხისტი ქალი ემმა გოლდმანი სხვა საპატიმროში გადაიყვანეს, მაგრამ არავინ იცის—სად.

ბუფალო. მაკ-კინლეის გვამი ასვენია იმ ოთახში სადაც გარდაიცვალა.

პრეზიდენტის ქვრივი დიდის მოთმინებით იტანს თავის მწუხარებას.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებ̃ნ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი-შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

მთა მადნის ინჟენერის ალექსანდრე მიხეილის ძის
მიხაილოვის და კო
ამხანაგობა ქუთაისის ქალაქის წყლის მილისა, ამით უცხადებს პაის პატრონებს, რომ ვადა ფულის მეორე შემოტანისა არის
10 სექტემბერს, 1901 წელს.

ხვედრი შემოსატანი 20 %, ე. ი 20 მანეთი თითეულ პაიზე მიიღება გამგეობის კანტორაში ქ. ტფილისს, ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი და ქ. ქუთაისს—წყლის მილის კანტორაში. (3—2)

რუსი მასწავლებელი ქალი, რომელსაც გათავებული აქვს, პეტერბურგის საპედაგოგიო კურსები, **ეძებს გაკვეთილებს.** ადრესი: ანდრიევის ქუჩა, სახლი № 23 სადგური ლასკოშვილისა И. П. К.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Сентября 1901 г.
ელექტრონით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.